№ 462. კვირა, 22 თებერვალი 1896—1898 კვირა, 22 თებერვალი, № 462.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელთ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს
—
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ. მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская №13
Телефонъ № 363.

მეფე ერეკლეს პანაშვიდის გამო
გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გამოვა სამშაბათს, 24 თებერვალს.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, 22 თებერვალს, განსვენებულის

საქართველოს მეფის ერეკლე II-ის

გარდაცვალების დღეს გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი მცხეთის ტაძარში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.
(3—3)

მეფე ერეკლეს ფონდისათვის

დღეს მცხეთაში
ქართველ ქალთა თაოსნობით
გაიმართება

ბუფეტი

Joseph Fraget.

„იოსებ ფრაჟეს“ სავაჭრო
ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ რუსეთის ნიჟეგოროდის გამოფენის შემდეგ, როცა ხსენებული სავაჭრო დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო ღერბით, ყველა ნივთებზე, რომელნიც-კი ამ სავაჭროდან გამოდიან, დაღი ექნება სახელმწიფო ღერბის, მაგრამ ზოგიერთს ნივთებზე ისევ ძველებური ნიშნები ექნება, რადგან გამოფენამდე წინდაწინ იყო მომზადებული მრავალი ნივთები.

ტფილისის განყოფილება ამ სავაჭროსი იმყოფება სასახლის ქუჩაზე, გ. ლალაევის სახლში.

ეხლა ფრაჟეს ნივთებზე არის ძველების GALW ◈ FRAGET მაგიერად ახალი ნიშნები, მაგალითად GALW. ◈ FRAGET ◈

Фабричный магазинъ фирмы „ІОСИФЪ ФРАЖЕ“
(5—1) Тифлисъ, Дворцовая ул. д. К. П. Лалаева.

გამოვიდა და ისყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში

გლეხი-კაცის ისტორია

ერკმან-შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით ივ. მაჩაბარიანისა
ნაწილი პირველი: საერო კრება.
ნაწილი მეორე: სამშობლოს განსაცდელი.
ფასი თითო ნაწილისა სამი აბაზი
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური

—

იქვე ისყიდება ი. მაჩაბარიანის თარგმანები:
ბრჭყალები 3 მოქმ. დრამა პოლ ერვიესი. ფასი 30 კაპ.
ივდითი ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა. ფასი 30 კაპ.
ვინც ფას-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, მანეთზე 30 კაპ. დაუთმობს.
(30—29)



აუარებელი რიცხვი
საკერავი მაშინებისა

ყოველგვარი სისტემისა და ყოველგვარი ხარისხისა, როგორც საშინაოდ - ოჯახში სახმარებლად, აგრეთვე სხვა-და-სხვა ხელოსნობისათვის.

პირველ ხარისხოვანი და საგანგებო
ველოსიპედები
(თვით-მავალა)
ინგლისის, საფრანგეთის და გერმანეთის ქარხნებიდან
ყველაფერი იყიდება შეღავათიანის ფასით
ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილად
ყველაფერი, რაც-კი ამ სავაჭრო სახლიდან გაიყიდება, მკვიდრი და მაგარია, რაშიაც სრული თავდებობაა

ვაჭრობის სახლი
ს. პ. პავლოვისა
და ამხ.
ტფილისში
ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.
ტელეფონი 349

Торговый домъ
С. П. Павлова и К°
Телефонъ 349
Тифлисъ, Лор.-Меликовская ул. № 6, противъ Правос. Семинаріи.
Богатѣйшій выборъ
Швейныхъ машинъ
и
Велосипедовъ

(100—2)

პირველ მარტს, 1898 წლისა, არის დანიშნული ქ. ოზურგეთში წარმომადგენელთა კრება გურიის ამხანაგობის «შუამავლისა» კრება განიხილავს შემდეგ საგნებს:
1, დამტკიცება წარსული წლის ანგარიშისა.
2, ამორჩევა გამგეობისა და რევიზიის წევრებისა.
3, წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლის გამო და.
4, სხვა და სხვა პირთაგან შემოტანილი პროექტის შესახებ იქონიებს სჯას.
მმართველი ამხანაგობისა გ. თავართქილაძე. (1—1)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ა. გირრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ა. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ვ. თოფურია.
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

ფოტოგრაფია
ალექსანდრე როინაშვილისა
ყიდულობს
ძველ ნივთებს და საგნებს—რკინისას, თუჯისას, ბრინჯაოსის, ვერცხლისას, ოქროსას, თიხისას, ქვისას, ფაიფურისას, რქისას და ძვლისას.
ხელ-საქმეს ძველებურის ხელობისას და ნაქსოვ-ნაქარგს და სხვა.
სამკაულს სხვა და სხვას ძველ დროინდელს
ძველს ფულებს და იარაღებს
მსურველთ მიჰმართონ ყოველ-დღე ერევნის მოედანზე საკუთარს ფოტოგრაფიაში
იქვე შეიძლება
სურათების გადაღება
იაფად, სწრაფად და ხელოვნურად.
Фотографія А. С. Роинова
тамъ-же
Коллекція древностей
Тифлисъ, Эриванская пл. д. Харазовой
(100—38)

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხერატუროვის სახ. № 146.
ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფენიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონი)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

—

ПАНСІОНЪ И УЧИЛИЩЕ
Учительницы
Н. ДИДЕБУЛИДЗЕ
Тифлисъ, Михайловок. ул. № 146.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержачніемъ для ученицъ гимназіи. Обученіе музыкѣ
(150—96)

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“
17 თებერვალი

პარიზი. ნაკე გამართლებულ იქმნა სასამართლოს მიერ. საგენერალო შტაბის კაპიტანმა ბეგუანმა, ზოლას საქმის გამო, მისწერა შეურაცხყოფის წერილი ტრარიეს, რომელმაც ეს წერილი გენერალ ბილიოს გადასცა. უკანასკნელმა საყვედური მისცა კაპიტანს. სენატის წარმომადგენლები შეიკრიბნენ ამ შემთხვევის განსახჯელად. უმეტესობას საკმარისად არ მიაჩნია მარტო საყვედური, მაგრამ საქმის გადაწყვეტა გადადებულ იქმნა.

ათინა. პალატას ბაასი ჰქონდა მეფის მისალოცველი ადრესის შესახებ.

ფინანსთა მინისტრმა შეიტანა კანონ-პროექტი საერთა შორისო საფინანსო კანტროლის შესახებ, რომლის მიხედვითაც მოხდა საფინანსო შეთანხმება. ამასთანავე მინისტრმა განაცხადა, რომ რუსეთმა, საფრანგეთმა და ინგლისმა უზრუნველ ჰყვეს ახალი სესხი 120 მილ. ფრანკი.

* * *

ახალი ამბავი

⁂ მეფე ერეკლეს სურათები და თოფი. დღეს მცხეთის ტაძარში ალექსანდრე როინაშვილისაგან გამოფე-

ნილი იქნება იქვე ტაძრის შესავალში მეფე ერეკლეს რამოდენიმე სურათები დიდის ზომისა და ზოგი ფერადი წამლებით დახატული. იქვე იქნება გამოფენილი დიდებული მეფე ერეკლეს თოფი, რომელიც ამ ჟამად თავად-აზნაურთა დეპუტატების კრებაში ინახება და რომელიც შემოსწირა ქართველ თავად-აზნაურობას კნეინა ბარიათინსკისამ, ორბელიანის ასულმა.

სწორედ მოსაწონია ბ-ნის როინაშვილის განზრახვა, რომ ამ დღეს ყველა ქართველმა იხილოს მეფე ერეკლეს სხვა-და-სხვა სურათები და მისი თოფიც.

⁂ **მეფე ერეკლეს ფონდი და ქართველ ქალთა „ბუფეტი“.** სიამოვნებით აღვნიშნავთ აგრეთვე ერთს საუცხოვო განზრახვას, რომელიც აზრად მოსვლიათ ჩვენებურ ქართველ ქალებს. საქმე ის არის, რომ დღეს მცხეთაში დიდძალი ხალხი იქნება და, რა თქმა უნდა, ამდენი ხალხისათვის მცხეთაში საეჭვოა, რომ სურსათიც მოიპოვოს საკმაო. ამიტომ ქართველი ქალები დღეს მცხეთაში გამართვენ ეგრედ წოდებულ «ბუფეტს»—საკუჭნაოს, სადაც ყველას შეუძლიან დანაყრდეს. შემოსავალი ამ ბუფეტისა დანიშნულია მეფე ერეკლეს ფონდისათვის.

აი ამაზე იტყვიან ხოლმე. „სასარგებლო სასიამოვნოსთანაო“. ვუსურვებთ ქალების ბუფეტს დიდძალ შემოსავალს.

⁂ **მეფე ერეკლეს ფონდისათვის** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს, ბანკის გამგეობას და ბანკშივე მოსამსახურე პირთ შეუწირავთ საერთოდ მეფე ერეკლეს ფონდის სასარგებლოდ ორმოცი თუმანი (400 მან.)

⁂ **ქალის მოსტაცებელის შეპყრობა.** გაიძვერა კონსტანტენი, რომელმაც ამას წინად „მეტროპოლის“ სასტუმროში ქალიშვილი შ. მოიტაცა და რომელსაც ამასთანავე თავის სიდედრისათვის 2000 მანეთიც მოუპარავს, ამ დღეებში უკვე შეუპყრიათ მოტაცებულ ქალთან ერთად ბაქოში და ბაქოს პოლიცმეისტრის განკარგულებით, თურმე, მალე ტფილისში მოაბრძანებენ.

⁂ **გადამდები სენი ტფილისის გუბერნიაში.** თიონეთის მაზრაში თებერვლის დამდეგს რამდენიმე კაცი გახდა ავად ხახადით და წითელათი. სოფ. ქვემო თელავში, გორის მაზრაში, გაჩნდა ხახადი, ხოლო დიდ მეჯვრისხევში და პატარა მეჯვრისხევში ხახადი მოისპო.

დუშეთში იანვრის განმავლობაში თერთმეტი კაცი გახდა ავად წითელათი, რომელმაც მშვიდობიანად გაიარა.

სოფ. ამილახვარიანთკარში იმავე თვეში 23 კაცი გახდა ავად წითელათი და ყველა ავადმყოფი განიკურნა.

იმავე თვეში ბორჩალოს მაზრაში ალაგ-ალაგ ხახადი იყო, ხოლო ქ. ახალ ქალაქში წითელა.

⁂ **დამნაშავის აღმოჩენა.** როგორც ისმის, პოლიციას გეში მიუტანია იმ ბოროტ მოქმედებზე, რომელთაც მოჰკლეს 17 თებერვალს ავჭალის ქუჩაზე რკინის გზის სახელოსნოს მჭედელი, მიხ. ბულანაშვილი.

⁂ **ყაჩაღის შეპყრობა.** ტფილისის სამაზრო პოლიციამ შეიპყრო ციმბირიდან გამოქცეული ბორჩალოს მაზრის მცხოვრები, ათაბეგალა-ოღლი; რომელიც გაგზავნილ იქმნა კატორგაში 1895 წელს ჯამალა ნოვრუზოვის მოკვლისათვის.

⁂ **საქარხნო ინსპექცია ბაქოში.** როგორც გაზ. „კასპი“ გადმოგვცემს, რუსეთის სატეხნიკო საზოგადოების განყოფილების საბჭოს განზრახვა ჰქონია აღძრას შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქმნეს საქარხნო ინსპექცია (ზედამხედველობა) და განსაკუთრებული ტეხნიკური წესები ბაქოს სანავთო რაიონში და მიუმართნია თხოვნით გუბერნიის უფროსისათვის, ამ საქმეში დახმარება აღმომიჩინეო.

⁂ **რუსეთის მცხოვრებთა რაოდენობა.** შარშანდელ საყოველთაო აღწერას აღმოუჩენია, რომ რუსეთში ყოფილა სულ 126, 411,736 მცხოვრები. ქალაქებში მცხოვრებთა რიცხვი შეადგენს 13°/₀ საზოგადო რაოდენობისას. ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებული მხარე ყოფილა პოლონეთის კუთხე, შემდეგ მოსკოვისა და პოდოლის გუბერნიები.

⁂ **სიფილისთან ბრძოლა.** 19 თებერვალს ტფილისის გუბერნატორის თ. ა. ბიკოვის თავმჯდომარეობით მომხდარ სხდომაზე განსაკუთრებულმა კომისიამ განიხილა კითხვა ტფილისის გუბერნიაში სიფილისთან ბრძოლის შესახებ. სხდომა შემდეგ დასკვნას დაადგა: საქმის დასაგვირგვინებლად საჭიროა ქალაქის გამგეობათ მიენდოთ, როგორც სიფილისთან ბრძოლა, ისე პროსტიტუციის (მეძაობის) ზედამხედველობა; ამისათვის უნდა დაარსებულ იქმნეს, როგორც ქალაქებში, ისე მაზრებში განსაკუთრებული კომიტეტები; ამასთანავე ფრიად სასურველია უფრო ფართო საფუძველზე დამყარდეს მკურნალობის საქმე გუბერნიაში; გამრავლებულ იქმნეს მკურნალთა რიცხვი და დაარსებულ იქმნეს ახალ-ახალი ქსენონები და საგანგებო საავადმყოფოები; სასურველია დაწესებულ იქმნეს მკურნალთა ზედამხედველობა მუშებზე ქარხნებ ფაბრიკებში; გაშინჯულ იქმნენ ქარხნებ-ფაბრიკებში ახლად შესული მუშები; იშინჯებოდეს ხოლმე მუშათა არტელები; გაუმჯობესებულ იქმნეს აცრის საქმე, რომელიც უნდა გადაეცეს სამღვდელოებას და სოფლის სკოლების მასწავლებელთ, როგორც კაცებთ ისე ქალებს) და აეკრძალოს ამცრელობა მკითხავ-მარჩიელებს; დაწესებულ იქმნეს წესიერი ზედამხედველობა მოწაფეებზე სკოლებში, დაარსებულ იქმნეს განსაკუთრებული თავშესაფრები ბავშვების განსაკერძოებლად და მიღებულ იქმნეს კიდევ სხვა მეორე ხარისხოვანი ზომებიც.

⁂ **ქ. გორის რწმუნებული დეპუტაცია მცხეთაში.** დღეს მეფე ირაკლი II-ის პანაშვიდზე დაესწრება, სხვათა შორის, გორის ქალაქის რწმუნებულთა დეპუტაცია, ქალაქის მამასახლისის მეთაურობით; დეპუტაციაში მონაწილეობას იღებენ ი. ნ. სუდანოვი და ს. ზ. გამბარაშვილი.

⁂ **გადასახადის შემცირება ჭიათურის შტოზე.** როგორც ისმის, შავი ქვის მწარმოებელთათვის გადასახადი ჭიათურის რკინის გზის შტოზე მალე შემცირებული იქმნება.

⁂ **ბორჩალოს მაზრის გლეხების შუამდგომლობა.** ბორჩალოს მაზრის რამდენსამე სასოფლო საზოგადებას თხოვნა მიურთმევია მთავრობისათვის მოგვიმატეთ ნადელზე ახალ-ახალი მიწის ნაჭრები და საზოგადოდ გაგვიუმჯობესეთ ადგილ-მამულის გაწეს-რიგების საქმეო.

⁂ **მეაბრეშუმეობის საქმე კავკასიაში.** 27 თებერვლისათვის დანიშნულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სხდომა, რომელზედაც განხილულ იქმნა ბ. როსინსკის მოხსენება: „მოსკოვის მეაბრეშუმეობის კომიტეტის ზომები კავკასიაში და კავკასიის გარეთ მეაბრეშუმეობის ასაღორძინებლად.“

⁂ **ახალი წიგნი.** გამოვიდა ახალი ქართული წიგნი «მეფე ერეკლე» შედგენილი მ. ჯანაშვილის მიერ. (44 გვ. ფასი 10 კაპ.).

⁂ **ავადმყოფ მუშათა მიღება საავადმყოფოში.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა გზათა მინისტრის განკარგულებით ბრძანება გასცა ამიერიდან მიღებულ იქმნეს რკინის გზის საავადმყოფოში მხოლოდ ისეთი ავადმყოფი მუშები მოიჯარადრეთა, რომ[illegible]ვების დროს დაშავდებიან, ხოლო ავადმყოფ მუშათა სამკურნალოდ გადახდეს მოიჯარადრეთ 60 კაპიკი დღე-ღამეში თითო მუშაზე და 25 კაპ. გასაშინჯავად.

⁂ **უფასო ტეხნიკური კურსები,** რომლებიც შეწყვეტილ იქმნა დღესასწაულების გამო, ამ ჟამად ისევ განახლდა. შაბათ საღამოობით, 7—8 საათამდე კითხულობენ ფიზიკას და 8—9 საათამდე ქიმიას; კვირაობით დილის 10 საათიდან 3 საათამდე ასწავლიან წერა-კითხვას, მექანიკას, ჰიგიენას, ხატვას, არითმეტიკას და ხარატობას.

⁂ **ბათომის ქალ. გამგეობის შუამდგომლობა.** იმის შესახებ, რომ ქალაქს ობლიგაციურ სესხად მიეცეს 600 ათასი მანეთი, უკვე მოუწონებია კავკასიის მთავარმართებელს და შესაფერი დასკვნით პეტერბურღში წარუდგენია.

⁂ **ფილოქსერის კომიტეტის ინსტრუქტორები.** ფილოქსერის გავრცელების საწინააღმდეგო ზომათა ხმარების ზედამხედველებად და აგრეთვე კავკასიის ფილოქსერის კომიტეტის სხვა მინდობილებათა აღმასრულებლებად დანიშნულნი არიან შემდეგი ინსტრუქტორები: ტფილისის მაზრაში—სააკოვი და ა. დავითიშვილი, დუშეთისაში – ი. გაბაშვილი, გორისაში—ლ. თადეოსიანცი, ი. ბარაბოვი, ს. ბილიბინი, ი. იოსელიანი, ხ. მეწულოვი, ვ. პეროვი, ს. ჯიბლაძე, ე. დანდუროვი, ს ტეისი, ლ. გოგნიაშვილი, ე. ვარაქევი, რ. ფანცხავა და ს. რობაქიძე. ბორჩალოს მაზრაში—ა. მირაკოვი, თიონეთისა, სიღნაღისა და თელავის მაზრებში და ზაქათალის ოლქში—ა. სპეშნევი, ა. დემენტევი, ი. ზემელი, კ. ბაქრაძე, ა. ლადა და გ. ჩურსიანი. ამ პირთ დაკისრებული აქვთ აგრეთვე დახმარება აღმოუჩინონ მევენახეებს რჩევა-დარიგებით, ხელმძღვანელობით და სხ. შესახებ ვაზის წამლობისა, ვენახების და სხვა ბაღების წესიერი მოვლისა და აგრეთვე ღვინის დაყენების გონივრული წესებისა.

⁂ **ქართული საღამო ბაქოში.** შაბათს, თოთხმეტს თებერვალს ქ. ბაქოში გამართული იყო მეშვიდე ქართული საღამო. წარმოადგინეს, ქალაქიდგან მოწვეულ არტისტებმა: ელ. ჩერქეზიშვილისამ, აბაშიძემ, და პეტლიშვილმა, ორ მოქმედებიანი კომედია «ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწილეს», რომლითაც ხალხი ძლიერ ბევრი აცინეს. შემდეგ ქართულ ხორომ, ალ. კავსაძის ლოტბარობით, იმღერა რამდენიმე ხმა. დასასრულ სცენაზე გაიმართა ლეკური. შემდეგ დაიწყო საერთო ცეკვა ევროპიული და ლეკური.

საზოგადოება თუმცა ბევრი დაესწრო, მაგრამ იმდენი არა, რამდენიც წინა წლებში ესწრებოდა—თითქოს რაღაც აკლდა, არც ქართული დუქანი იყო გამართული.

⁂ **საჭირო განმარტება.** ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით გავსცე პასუხი იმ კარგად მცოდნე კაცს, რომელსაც დაუწერია „ჩერნ. ვესტნ.“-ში და იქიდან-კი იყო გადმოთარგმნილი თქვენს გაზეთში ამბავი შესახებ თ. ივანე გურიელის მამის სიკვდილის განზრახვის თაობაზე. ბ-ნი კორესპონდენტი სწერს, ვითომც მთელი მისი ნათესაობა გაკვირვებული იყოს, თუ რამ აიძულა ეს განათლებული კაცი, რომ მამის სიკვდილი განიზრახაო. საკვირველია, ბ-ნს კორესპონდენტს საიდან შეუკრებია ასეთი ჭორი. მე ამ ჟამად ვიმყოფები მისიანებში და მისის ნათესავებისა და ნაცნობებისაგან გაისმის მასზე დიდი მწუხარება, თუ როგორ გამოიმეტა ყოვლად უდანაშაულოდ მამამ ერთად-ერთი ვაჟი და მაგისთანა ცილი შესწამა. ვინც შინაური ამბავი იცის მისი, ის, რასაკვირველია, დამემოწმება ამაზე, რომ თავ. ივანეს შეეძლო თვისის მამის ნაკლულევანება გამოემჟღავნებია, მაგრამ ეს ისეთის კეთილის გულის და თავ-მოყვარეა, არასოდეს არ იკადრებდა გამომჟღავნებას და მით უმეტეს არ განიზრახავდა სიკვდილს. ჩემის ფიქრით, ყოველი ადამიანი სიბრალულს უნდა აცხადებდეს ამისთანა შემთხვევაში და არა გაზეთებში სწერდეს სხვანაირად. რომ თავ. ივანე დამნაშავე იყოს ამაში, მაშინ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თვით ნათესავები გამოამჟღავნებდნენ მისს ამ ნაირს საქციელს. ეხლა ჩვენ მეტი აღარა დაგვრჩენია-რა ვსთქვათ: «ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის».

დროებით მცხოვრები

⁂ **ს. ჯვარცხმა** (გურია). **სწავლა-განათლების მდგომარეობა.** სოფ. ჯვარცხმა შესდგება 360 კომლი გლეხებისაგან. ამათში ძლივს თუ ას კომლამდე შეძლებული გლეხი იქნება. მიწა-ადგილები ამ საზოგადოებისა ნაკლებ ნაყოფიერია შედარებით სხვა საზოგადოების მიწებთან. სოფლებთა სამი წილი სამუშაოზედ გადის სხვა და სხვა ქალაქებში და პირის ოფლით ნაშოვარი გროშებით ძლივს აკმაყოფილებენ ათას გვარ მოთხოვნილებას. ასეთ ღარიბ სოფელს აგერ ათი წელია, რაც უკისრნია ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლის შენახვა და საეჭვოა, ისე მშვენივრად, როგორც აქ, გურიაში სხვაგან სადმე ინახავდნენ სკოლას. არასოდეს სოფლის მასწავლებელი იძულებული არ გამხდარა ეჩივლა სოფლის მამასახლისისთვის ჯამაგირის წესიერად მიუღებლობაზე.

სკოლის ასეთი შედეგების დამნახველმა საზოგადოებამ 1895 წელში მოილაპარაკა და გადასწყვიტა სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთება იმ მოსაზრებით, რომ ერთი ალბად ერთკლასიან სკოლას მეტი სარგებლობის მოტანა შესძლებია, ხოლო ორ კლასიანი სკოლისთვის სხვა მასწავლებელსაც დაგვინიშნავენ და საქმე უთუოდ უკეთესად წავაო. 1896 წ. კიდეც ააგეს მშვენიერი ახალი შენობა სკოლისათვის, რომელიც მთავრობის ნებართვით დღეს ორკლასიანია. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერც ეს გარდაქმნილი სკოლა აკმაყოფილებს უკეთესად საზოგადოების სურვილს.

მ. ეფემიშვილი

⁂ **ქართლი. სასაცილო ნიშნობა.** ამ ცოტა ხნის წინეთ, ორმა იმერელმა ძმამ წაიყვანეს თავიანთი უმცროსი საცოლო ძმა, ქართლის ერთ პატარა სოფელში ქალის დასანიშნავად. საცოლო ძმამ ფილიმონმა ცოტა სასულელო ლაპარაკი იცის, ისე, რომ თავისი სულელური წამოროშვით, ათგან მაინც მოუშლია საქმე საქმეზედ მოყვანილი ნიშნობა; აი ერთი მაგალითი ჩვენი ფილიმონისა: რის ვაი ვაგლახით და დიდის მეცადინეობით, როგორც იყო, გაათავეს ერთს ქალთან საქმე და წაიყვანეს დასანიშნავათ; უფროსმა ძმებმა ჩააგონეს და დაუწყეს ჯავრობა, რომ არამც და არამც ხმა არ ამოიღო და კრინტი არ დასძრა, თორემ შენ კარგს არას იტყვი და იქიდამაც გამოგვრეკამენო; მივიდნენ საცოლე ქალის ოჯახში, სადაც დიდ მზადებაში და ფაცი ფუცში იყვნენ, რომ კარგად გამასპინძლებოდნენ ამ უცხო სტუმრებს; მართლაც, რომ ჩვენი ფილიმონი ჰკვიანათ იჯდა და ჩუმ-ჩუმათ ათვალიერებდა თავის სატრფოს დესპინეს; ფილიმონი ნაცვლად ლაპარაკისა, ტუჩებს აცმაცუნებდა, თვალებს აბრიალებდა და აღშფოთებით მოელოდა იმ დროს, რა დროსაც გვერდზედ მოუჯდებოდა თავის დესპინეს, დაუკოცნიდა წითელ ტუჩებს და მით თავისათ დაამტკიცებდა. აგერ მოატანა იმ დრომაც; ოჯახის უმცროსმა აიღო ტაშტი და წყალი, ყველას ხელები დააბანინა და გარდა მზარეულებისა ტახტზე მუთაქებზე ჩამოსხდნენ პურის საჭმელად; მასპინძელს, მეზობლებიც მოწვეული ყავდა ნიშნობაში. ფილიმონიც, რადგანაც მომავალი სიძე ბძანდებოდა, თავს დასვეს. სუფრა გაშლილი ჰქონდათ, საპატარ-

ძლო მეორე ოთახში ფერ უმარილით ირთობოდა, რომ ლამაზი გამოვჩნდე და მხარი დავუმშვენო ჩემს ფილიმონს, ფილიმონის გვერდზე დესპინესთვის ცარიელი ბალიში იდვა და ყველა გაჩერებულნი იმას მოელოდნენ. ოთახში სიჩუმე იყო. ჩვენი ფილიმონიც ყელმოღერებული თავის პირ და პირ სალოგინე წალოს მისცქერებოდა და ძმებსაც უხაროდათ ძმის ჩუმათ ყოფნა და ამბობდნენ: „ეს არის, გვეშველა, საქმე გავათავეთო". ამ დროს ის დაწყევლილი კატა საიდამაც შემოვიდა და წალოს ეცა მაღლა შესახტომათ, მაგრამ ჩვენი სასიძოს ფილიმონის საუბედუროდ, კატა მაღლა ველარ შეხტა და უკანვე ძირს ჩამოვარდა. ეს რომ ჩვენმა ფილიმონმა დაინახა, წამოიძახა: „თუ თქვა რამე, შვილო ფილიმონმა, სულელიაო, თუ არა და დეიმტვრია კატამ თავ პირი და ეს არისო." ეს სთქვა თუ არა, სად არის სიცილი მეზობლებისა და სირცხვილი ფილიმონის ძმებისა, საწყლებმა სიკვდილი ინატრეს მაგრამ.., ასე გაშინჯეთ, რომ ქალის პატრონებმა ისე დაითხოვეს ჩვენი ფილიმონი თავის ძმებით, რომ პურიც კი აღარ უჭმევიათ; წამოსულან მაშინათვე თავ დაღუნულნი და შერცხვენილნი ფილიმონის მხრით ჩვენი სამთავე ძმები. დესპინესაც ძალიან სწყენია, თურმე, ასე უცებ საქმროს ხელიდგან გამოცლა და იმდენი ფერ უმარილის დახარჯვა ტყუილ-უბრალოთ.

ალელი მედავითნე

*** **ქსნის ხეობა.** აქაური ამბავი. ამ ქამად კაი დარია და ერთი კვირა რომ ძველებურად ქარბუქი დამდგარიყო სულ დავიღუპებოდით. მაგრამ რა გამოვიდა? ქართველს არცარა კაი დარი უხარია, ქურდ ოსების გადამკიდე, გაიძახოდა „სანდუა" ქართველი, რომელსაც ლაზათიანად გადაეკრა და შეზარხოშებული ისევ დუქნისკენ მიდასლასებდა ქანც გამოცლილ ხარივით.

— ეჰ, ჯანი გავარდეს ჩემს ავათ მახსენებელს, ერთი ლაზათიანად გამოვიბრუშები კიდევ და, მიმავიწყდება ჩემი დარდი და ვაებაო, სთქვა ქართველმა გულ ნატკენად.

— ნეტა რა გაქუხაბშ?—ნელის ხმით შეეკითხა მასთან ერთად მიმავალი ლექსა ოსი, რომელიც ცხვრის ტყავში გახვეულიყო.

ლექსა ოსი, რომელზედაც ლაპარაკი ჩამოვაგდე „აბლოკატია" ოსთა შორის. სადღაც და როდესღაც, როგორც თვით ამბობს „ნაჩალიკთან" ყოფილა ჩაფრად და იქვე ყურმოკრულ საუბრებით შეუსწავლია ზოგიერთა წეს რიგი-კანონები. ბოლოს, ჩაფრობის დროსაც კი, ჩუმ ჩუმი „აბლოკატობა" დაუწყვია და რომ ქურდი ნათესავი მისი ველარ დაუხსნია ციხიდან, რომლისთვისაც სამართალს დაპატიმრება მიუსაჯავს და საციმბიროდაც განუმზადებიათ, ლექსას, „ხიტრობა" უხმარია, დაუწერია პარუსკად წერილი, დაურიგებია: „შენც ხიტრობა იხმარე ციხიდან გამოიპარეო". ისის შემცდარა, გამოპარულა, მაგრამ სამართალს სად გაექცეოდა! უპოვიათ და გაუბოჭიათ. ზევრსა ცდილან გაეტახათ ოსი ვისი დარიგებით გაიპარე ციხიდანაო, მაგრამ რაკი „აბლოკატს" უთქვამს ყველაზედ „ატკაზ და ბოლში ნიჩაო" თქვიო ის მაინც არ გატეხილა.

მისი კაი კაცობა, რაც ემოქმედნა ციხიდან გამოპარვის დროს და რაზედაც იყო დაპატიმრებული ციხეში პირველადვე საქმის გარჩევის დროს, მაინც დამტკიცდა: იგი იპარავდა წვრილ ფეხს, სოფლიდან სოფელში, მაზრიდან მაზრაში დათარეშობდა. წათამამებულმა სამარცხვინო ხელობით მოიპარა ძროხა საწყალი ქვრივისაგან, რომელსაც ყაჩაღურად შევარდნოდა, შეემტვრია სახლის კარები. ქართველებმა შეუკრეს გზები; შედგა სასამართლოდ საქმე. ციხიდან გამოპარვაც ზედ ნადებად დაერთო და ციმბირისაკენ უკრეს თავი. იმ ქურდს ქურდულადვე ამოხდა სული...

ქართველი, რომელზედაც ვთქვი იმ პატიოსანი ქვრივის შვილია, რომელსაც ოსმა ძროხა მოჰპარა. ერთად ერთი ნაკლი, სხვა სრულიად უმნიშვნელო ნაკლთან, თუ არ დაგიშლიათ ნაკლულევანების აღვიშვნა გახლავთ ღვინის მოყვარულობა, რომელიც დაჰყვა განსვენებული მამისაგან. იგი, თუ შეხვდა თავის მოძმე კამპანიას ღვინოში ჩაიხრჩობს თავს.

მაგრამ ამ შემთხვევაში კი, როდესაც იგი „აბლაკატ" ლექსას მხარდა-მხარ მისდევს, ებაასება, იტყუებს დუქნისკენ დიპლომატიურად იქცევა. უნდა ხელში იგდოს ქართველურად სახრეები აჰკიდოს.

— რა მაწუხებს... აი, შე მგელო შენა.—უთხრა ქართველმა ოსს:

— ის მაწუხებს, რომ ერთი კვირაა არ დამილევია; მოდი შევიდეთ დუქანში, გამოვიბრუჟოთ ქართველურად. ორივენი შევიდნენ მიკიტნის დუქანში. კარგა განს სვეს. ოსი ძლიერ დაითრო. ქართველი შეზარხოშდა. ეგ იყო მოიმარჯვა სახრე, უნდოდა ბეჭები ეხურებია ლექსოსათვის, მაგრამ თავი შეიმაგრა და წყნარად, დინჯად წამოდგა სუფრიდან და წავიდა თავის სახლისკენ. ცოტა ყაყანის შემდეგ მედუქნესთან ოსიც გამოვიდა დუქნიდან და შეუდგა ქარქვეტას ქედს, რომლის მწვერვალზედაც უდგია გადატაკებული-გათახსირებული სახლი. მალე მიადგა აღმართს. დიდათ ჩაფიქრებული მიდიოდა; დიდძალი ქარის წისქვილები აშენა თავის გონებაში თავიზე ღარიბები ამოწყვიტა, გადაასახლა. ბოლოს, ისე მიადგა გზის პირის უფსკრულს, შეტორიკდა-შეირყა და ბრეგვა მოსძვრა შიგ ხევში.

ხოლო ქართველი მეორე დღესაც მივიდა დუქანში და მოძმეებში დროება გაატარა. წითელი ღვინით სულ ჰერში ისროდა ქუდს იმ სიხარულით რომ წუხელის, ლოთობის შემდეგ, რომელმაც განძრახ სვა დარდის მოსაკლავად ლოგინზედ ცოლი არ მამიკვდესო დარბაზში რუმბივით ტახტზედ ეგდო და მაშინ, ფეხმძიმედ ნამყოფს მის ცოლს შვილი ეყოლა. მაგრამ, რომ გაუხსენეს ლექსა ოსის სიკვდილილი, რომელსაც ხრამში სული ამოსვლოდა, ტირილი მოუვიდა. სავსე ჭიქა ღვინით აილო, თავი გადაუქცია პურზედ და საუკუნოდ განსვენება უსურვა. იმან ისევ თავისებურად ჩაიქეიფიანა, დამშვიდებული წავიდა სახლისკენ ღუღუნით: დაილოცა ღვთის სამართალი.

მოხევე

გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის «შუამავლის» წლიური კრება.

13 თებერვალს ქ. ოზურგეთის ქალაქის თვით მმართველობის დარბაზში მოხდა წლიური კრება გურიის სავაჭრო ამხანაგობის „შუამავლისა". კრებას დაესწრო 406 ნამდვილი წევრიდგან 88 წევრი პირადად და თითქმის ამდენივე იყო ვექილობითაც. კრება გაიხსნა სრულს შუადღის 11 საათზედ. ამხანაგობის გამგე კ. ჩ. თავართქილაძემ სთხოვა კრებას ამერჩია თავმჯდომარე. საზოგადოება უმეტესობამ ერთხმად სთხოვა თ. სიმ. დავ. ვუგუნავას, ხოლო უმცირესთ ნაწილი კი ასახელებს ექიმს ბ-ნ ივ. თიკანასძეს. აქა იქ გაისმის: „ყუთი—კენჭი, მაგრამ თავ. გუგუნავამ არ იკისრა დაედგა ყუთი და ისე ინება მიელო უფლება თავმჯდომარისა... შემდეგ კრების კანონიერად გამოცხადებისა ბ-ნმა ალექსანდრე თოიძემ განაცხადა კრების წინაშე:

— აგერ მესამე წელიწადია, რაც ეს ამხანაგობა არსებობს. დაარსებამდე ამხანაგობისა მე და ბ-ნ მმართველს ამხანაგობისას თავართქილაძეს პირადი კამათი შეგვხვდა ბეჭდვითი სიტყვით, რადგან მე ვერ ვეთანხმებოდი აზრებში მაშინდელ განძრახულ საქმეს, ამიტომ არც მინდოდა წევრობა შიგ მაგრამ მაშინდელი მოლარის ბ-ნის იაგორ თაყაიშვილის თხოვნის თანახმად მე მაინც შემოვიტანე საწევრო ფული ოცი მანეთი და კიდეცაც მივიღე კანონიერი წილის ბარათი, მიუხედავად ამისა მე არც შარშანდელ კრებაზე და არც წრევანდელზედ მაინც არ ვიყავ დაბარებული და დღეს არც საწევრო სიაშია ჩემი სახელ-გვარი მოხსენებული. გთხოვთ განმარტებას.

მმართველი კ. ჩ. თავართქილაძე: რადგან ბ-ნმა თოიძემ ბეჭდვითი სიტყვით გამოუცხადა მტრობა ჩვენს ამხანაგობას, ამიტომ მაშინდელმა გამგეობამ გადასწყვიტა თოიძე არ მიეღო თვის წევრად, შემოტანილი ოცი მანეთის შესახებ კი დავავალე ბ-ნ მოლარე იაგ. თაყაიშვილს 2%-ით დაებრუნებინა უკან.

იაგ. თაყაიშვილი: (წყნარად) მე ეგ პირველად მესმის. (შემდეგში ჩვენ თვით გვიჩვენა ბ-ნ თაყაიშვილმა საბუთი, რომ თავ—ძეს ეს ოცი მანეთი მიუღია) საზოგადოებაში უკმაყოფილება გაისმის: რას ერჩოდით ამ კაცს! რას ემართლებოდით! ბ-ნ თოიძე ერთხმად მიღებულ იქმნა ნამდვილ წევრათ.

თ. ნიკ. ყარ. თავდგირიძე: შარშანდელმა საზოგადო კრებამ რამოდენიმე კაცს მოგვანდო წესდების განხილვა და მისი შესაფერად შედგენა რადგან უმეტესი წესდების შემდგენი პირნი ქუთაისში ბრძანდებოდნენ, ამიტომ ჩვენ წაველით იქ და კიდევ სხვა დახმარებით აი ეს წესდება შევიმუშავეთ, ნამდვილი კი ამისი ნატარიუსთან არის დასამტკიცებლად. აი ინებეთ და მოისმინეთ თვით წესდებაც. (წაიკითხავს ბოლომდინ) კრებამ ეს წესდება მიიღო. ამ წესდების ერთი მუხლის ძალით უნდა აღერჩიათ 50 კაცი წარმომადგენლათ. თუ რა სახით აღერჩიათ წარმომადგენლები ამან კარგა კამათი გამოიწვია. გარკვეულ იქმნა ის კითხვა, რომ გვაქვს თუ არა უფლება ვინც აქ არის იმათ უყაროთ კენჭიო და ბოლოს გადასწყვიტეს, რომ ეყაროთ იმათთვისაც...

ნიკო ჟორდანია. ეს ამხანაგობა რომ დაარსდა, პირველათ ლანჩხუთში დაიწყო თავისი მოქმედება და ყველაზე მეტი წევრიც იქა ჰყავს; ჩვენ შარშანდელ კრებაზედ პირადად აღგვითქვეს კრება ლანჩხუთშიაც იქნებოდა, მაგრამ ეს არ შეგვისრულეთ, კვლავ ვითხოვთ, რომ გაგვიკეთოთ გული და ხან და ხან იქაც დანიშნოთ ხოლმე კრება. ამ აზრს ემხრობა არ. წითლიძეც. კრებამ გადასწყვიტა მიენდოს წარმომადგენელთა მომავალ კრებას, რომ მათ დანიშნონ ლანჩხუთში არა ჩვეულებრივი კრებები, როცა მოსახერხებლად დაინახავს. წარმომადგენელები დასახელებული იყო წერილებით, ამ წერილების შემოწმება მიენდო რამოდენიმე პირთ და დაევალათ, რომ მეორე დღის დილისათვის წარმოედგინათ შემოწმებული.

ეს. ხარ. ანთაძე. ბატონებო! შარშანდელმა წლიურმა კრებამ რაკი მმართველის მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიში, საეჭვოთ სცნო აღირჩია რამოდენიმე საპატიო პირი და მათ დაავალა შეემოწმებინა ანგარიში და თავიანთი შრომის შედეგი დაესტამბათ რომელიმე გაზეთში, მაგრამ, რადგან ჯერ კიდევ ამისი არა ვიცით რა, ჯერ მე ვთხოულობ ბბ. სარევიზიო კომისსის წევრებმა მოგვცეს ანგარიში. ჯერ გავიგოთ რა გვაქვს, რის პატრონი ვართ და შემდეგ ავირჩიოთ წარმომადგენელნი, მანამდე კი არ მესმის რად გვინდა ვინმე. ამ სიტყვებმა საზოგადო აღტაცება გამოიწვია. მართალია, მართალი გაისმის. ამ აზრსვე ემხრობა ბლად. არს. თოხაძე და თ. დ. გუგუნავა. კრება შესწყდა 4 საათზედ იმ დაპირებით, რომ მოისმენდნენ სარევიზიო კომისსიის ოქმს. კრება კვლავ გაიხსნა სალამოს 8 საათზედ. პირველად კრებამ მოისმინა გლეხი ქამჯარაძის თხოვნა, რომლითაც თხოულობდა, რომ მას ეპატიოს 3 ბოჭკა თაფლის ფასი, რომელიც მას წყალმა წაართვა. კრებამ გადასწყვიტა, რაკი საქმე სასამართლოშია, დეე სასამართლომ გადასწყვიტოს და თუ ჩვენ მოვიგებთ, მერე შეიძლება ეპატივოსო. შემდეგ გამგე ამხანაგობისა ბ. თ—ძე კითხულობს 1897 წ. ანგარიშს. ბ-ნი ეს. ანთაძე თხოულობს საბუთს ანგარიშის სინამდვილისა, ამასვე თხოულობენ: რამიშვილი, ხუნდაძე, ჭეიშვილი და ბოლოს მთელი კრება. კამათი წყდება და სარევიზიო კომისსიის წევრი და ეხლანდელი კრების მდივანი ბ. მიხ. ი. თუმანიშვილი კითხულობს ოქმს, რომლის შესანიშნავ ადგილებს ამოვსწერ:

ოქმი

დღიდგან დაარსებისა 1 იანვრამდე 1897 წლისა და 1897 წლის განმავლობაშიც. ოქმიდგან, როგორც სჩანს პირველი კრება სარევიზიო კომისსიას დაუნიშნავს 15 აპრილს (97 წ.) და მიუწვევიათ თვით გამგე კ. ჩ. თ—ძე ყოველივე საჭირო დავთრებით და საბუთებით. ეს პირველი კრება ვერ შემდგარი, რადგან გამგეს საბუთები და დავთრები არ წარმოუდგენია. კომისსიას დაუვალებია მეორე კრებისთვის მაინც წარმოედგინა ყველაფერი საჭირო ცნობები. სხვა და სხვა საპატიო მიზეზთა გამო მეორე კრება ვერ მოხერხებულა 17 ოქტომბრამდე, რომელზედაც თვით გამგეც კი არ გამოცხადებულა. მესამეთ 15 ნოემბერს გამგეს კიდევ არ წარმოუდგენია დავალებული ცნობები, ხოლო წარმოდგენილი ერთი დავთრის განხილვით კომისსია დარწმუნებულა მრავალ უსაფუძვლო მოქმედებაში და წერილობით დაუვალებია გამგე, შეეწყვიტა ყველაფერი ვაჭრობა, გაესწორებინა ვალები და მოეყვანა ცნობაში დავთრები და ჩაებარებინა კომისსიისათვის 15 დეკემბრისათვის, მაგრამ ეს არც ერთი არ აღუსრულებია და 15 დეკ. კრებაზედ არც თვითონ გამოცხადებულა. უკანასკნელი კრება დაუნიშნავთ 27 დეკ. ლა ეს გადაწყვეტილება კიდეც უცნობებიათ გამგესათვის. დანიშნულ დღეს გამგეც და კომისსიის წევრნიც შეკრებილან, მაგრამ პირველს წიგნები და დავთრები კიდევ არ წარმოუდგენია. დაუვალებიათ გამგე, რომ დეპეშით დაებარებინა ბათომიდგან და საჭილაოდგან ყველაფერი საჭირო მასალა და იმ დღესვე კომისსიას, რომელსაც ცხრა კაცი შეადგენდა, შეუდგენია გეგმა მოქმედების, ხოლო 28 დეკემბერს კიდეც მიუღიათ საჭირო საბუთები, გაუნაწილებიათ სამუშაო და შესდგომიან საქმეს. 31 დეკ. კომისსიას შეერთებულის ძალ-ღონით განუხილავს ცალ-ცალკე ნაშრომი. აქედგან, როგორც სჩანს, გამგეს მიერ ნაჩვენებ ანგარიშს შუა და კომისსიის მიერ შემოწმებულ შუა დიდი არსებითი განსხვავებაა. მაგ.: ლანჩხუთის შენობები გამგის ანგარიშით ღირს 2202 მან. 14 კაპ. კომისსია კი ამბობს, დღეს ღირს 1149 მან. 11 კაპ. მეორე მაგ.: დვაბზუს ჰქონიათ ინვერტარში (ქონებათა სიაში) 1544 ალაბი ტილო, დღეს კი აღმოჩენილა მარტო 1031, ე. ი. დაჰკლებია 513 ალაბი, რომელიც არსად არა სჩანს.

ასეთი განსხვავება კომისსიის აზრით იმიტომ არის, რომ შენობები ამხანაგობას დასჯდომია ძრიელ ძვირად და ცუდი მასალისაგან გაკეთებული, რომელიც სიძველის გამო ხშირად საჭიროებს შეკეთებას და ამიტომ ფასიც თან და თან აკლდება. ამ საზოგადო კანონის მიხედვის ძალით კომისსიამ საჭიროთ სცნო 4 წლის განმავლობაში მთლად გამოისყიდოს მისი ნასყიდობითი ფასი ¼-მდის დაკლებით ამ წლების განმავლობაში. (ტილოს კი არ ვიცი კომისსია რას უზამს!).

აპ. წულაძე

(შემდეგი იქმნება)

ლიტერატურული ახალი ამბები

✦ **საჩუქარი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას".** ორასი წიგნი თავისს თხზულებისა «გლახა» ბ-ნს გ. კონდოლელს ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებისათვის შეუწირავს. „გლახა" პატარა წიგნაკია, სულ 16 გვ. და ერთი შაური ღირს. საკმარისად კარგი ლექსით არის დაწერილი, მეტადრე თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ავტორი პირველად უნდა გამოდიოდეს სალიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატურო ასპარეზზე და, მაშასადამე, დიდი გამოცდილება არ უნდა ჰქონდეს. წიგნაკის შინაარსს არ მოვიყვანთ, რადგან, იმედია, შაურს არავინ დაიშურებს და თითონვე გაიცნობს კონდოლელის პოემას, რომელსაც დედა-აზრის მეტს ვერას დაუწუნებს მკითხველი: ჩვენი ხსნა მარტო შრომას შეუძლიან, დაუღალავ შრომას, რომლის ჯილდოს აქვე უნდა ელოდეს და თხოულობდეს კიდეც ყოველი ჩვენგანი... ავტორი სხვა აზრისა არის.

◆ **საჩუქარი წინამძღვარიანთ სკოლას.** ბ-ნს გ. წინამძღვარიშვილს, ოლქის სასამართლოს წევრად ყოფილს, განუზრახავს ცალკე წიგნად დაბეჭდვა ლერმონტოვის პოემისა „მასკარადი“. ეს პოემა ბ. წინამძღვარიშვილმა ამ ორმოცის-ორმოცდახუთის წლის წინად სთარგმნა და „ცისკარში“ დაბეჭდა, თუ არ ვცდებით სამს ნუმერში. ავტორს განუზრახავს თარგმანი არაფრით შესცვალოს და ისევე გადაბეჭდოს ცალკე წიგნად, როგორც პირველად ყოფილა დაბეჭდილი. მთარგმნელი თითონ კისრულობს ყოველგვარ ხარჯს და შემოსავალი წიგნისა-კი უკვე შეუწირავს წინამძღვარიანთ კარის სკოლისათვის.

◆ **დრეიფუსის საქმე.** ბ-ნს გრ. დ—ძეს განუზრახავს დაწვრილებით აწერა დრეიფუსის საქმისა, რომელსაც ესტერგაზის და ამ ბოლო დროს ზოლას საქმე მოჰყვა. საჭირო მასალა უკვე ხელთა აქვს და დაწვრილებით აცნობებს ქართველ მკითხველს ამ საქმის ყოველ ვითარებას. სტატია „მოამბეში“ დაიბეჭდება.

◆ **ინჟენერი ან დოხტური.** «მოამბეში» დაიბეჭდება ქ-ნის აზიანის კომედია „ინჟენერი ან დოხტური“, რომელიც სწორედ რომ ცოცხალ სურათებს წარმოადგენს დღევანდელ კულტუროსანთა ცხოვრებიდან.

◆ **პოტტოს თხზულება.** პეტერბურგში მესამე გამოცემად იბეჭდება გენერალ პოტტოს თხზულება: «ომი კავკასიაში. წვრილ-წვრილი მოთხრობები, ლეგენდები და ბიოგრაფიები. ტომი პირველი. უძველეს დროთაგან ერმოლოვის დრომდე“. წიგნში 555 გვ. და ხელის-მოწერით ექვსი მანეთი ღირს.

◆ **რა არის ხელოვნება?** გრაფის ლ. ტოლსტოის უკანასკნელი თხზულება „რა არის ხელოვნება?“ მოსკოვში ცალკე წიგნად დაუბეჭდავთ და სულ იაფად, სამ შაურად, ჰყიდიან.

მახლას!

* * *

ყურ-მოკრული საუბრები

ჩვენი ბავშვები. საღამო ხანს პატარა ქალს ძილი მოუნდა, მივიდა და პირდაპირ ტახტზედ მიწვა, და მალე ჩაეძინა. დედამ გააღვიძა და გაუჯავრდა: უსაბნოთ ნუ იძინებ, საბანი დაიხურეო, თორემ შეგცივდებაო. ისიც წამოდგა ნამძინარევი და მივარდა [illegible] საბანი ლოგინს ქვეშით იდვა და წევა დაუწყო, მაგრამ ვერ გამოაძრო და გაჯავრებულმა დაიძახა: «ეს ოხერი თუ კი გამომეძვრება მერე რაღათ მინდა»-ო და თავი დაანება.

* * *

სამეურნეო დარიგება

როგორ უნდა დავთესოთ კართოფილი. ზოგნი კარტოფილს სჭრიან და ისრე სთესენ, რადგანაც არ იციან რა ზარალი მოაქვს ამნაირად დათესილს კარტოფილს. საფრანგეთის გამოჩენილი მეურნე ჟირარი, ამ საგნის შესახებ, ხუთის წლის ცდა-მეცადინობამ შემდეგს დასკვნებს მიიყვანა: 1) ყოველ შემთხვევაში კართოფილი უფრო კარგი და ბევრი მოდის, როცა მთელ თავებს სთესენ, 2) ამავე სიდიდის კარტოფილი, რამდენიმედ გაჭრილი და ისრე დათესილი, ყოველთვის 30 პროც. ნაკლებს მოსავალს იძლევა. საზოგადოდ, ზემოხსენებული პროფესორის სიტყვით, კარგს მოსავალს მხოლოდ გაუჭრელი კარტოფილი იძლევა საშუალო სიდიდისა (გ. ი. 1/4 გირ.) წვრილი კარტოფილი (ერთ ორმოში რამდენიმე ჩაყრილი) 5—10 პროც. ნაკლებს იძლევა. გაჭრილი კარტოფილის დათესვას კი არავის ვურჩევთ, რადგანაც 20—30 პრ. ნაკლები მიდის. ამის გარდა, ჟირარის სიტყვით, დაჭრილი კარტოფილის თესლი ვერ იტანს გვალვიან ზაფხულს და ადვილად სცდება. სრული იმედია, ჩვენი მემამულენი მიიღებენ საფრანგეთის მეურნის დარიგებას, რომელიც განთქმულია ცოდნა-გამოცდილებით.

* * *

განცხადებანი

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1898 ГОДЪ НА

ЖУРНАЛЪ ЖУРНАЛОВЪ

и

Энциклопедическое Обозрѣніе.

Новое иллюстрированное ежемѣсячное изданіе **безъ предварительной цензуры**, составленное отчасти по образцу иностранныхъ журналовъ Review of Reviews (англійскаго и американскаго). Rovue des Revues и др.

Кромѣ оригинальныхъ статей, написанныхъ спеціально для журнала выдающимися учеными и мыслителями, какъ русскими, такъ иностранными, журналъ помѣщаетъ извлеченія или экстракты изъ статей извѣстнѣйшихъ авторовъ и замѣчательнѣйшихъ статей, появляющихся въ русской или иностранной печати.

Въ программу журнала входятъ: науки естественныя, медицинскія, физико-математическія, исторія и общественныя науки, философія, метафизика и психологія, искусства и критика, обозрѣніе журналовъ, смѣсь и проч.

Отдѣлъ наукъ естественныхъ и медицинскихъ будетъ выходить при ближайшемъ сотрудничествѣ и подъ наблюденіемъ Академика Князя И. Р. Тарханова.

Отдѣлъ исторіи и общественныхъ наукъ—при сотрудничествѣ и подъ наблюденіемъ В. Ф. Головачева.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

на роскошное изданіе за годъ съ доставкою и пересылкою 10 р. на дешевое изданіе за годъ съ доставкою и пересылкою 6 р., на дешевое изданіе за годъ безъ доставки 5 у.

(Разсрочка на дешевое изданіе съ пересылкою и доставкою допускается при ежемѣсячныхъ взносахъ по 2 рубля въ теченіе 3 хъ мѣсяцевъ).

Контора и редакція въ С.-Петербургѣ, Гороховая 13 (уг. Б. Морской). (12—4) Издатель-Редакторъ И. П. Кондыревъ.

1898. ОТКРЫТА ПОДПИСКА 1898.

на общедоступный, иллюстрированный, еженедѣльный журналъ

подъ названіемъ

„ЖУРНАЛЪ НОВѢЙШИХЪ ОТКРЫТІЙ и ИЗОБРѢТЕНІЙ“.

Въ теченіе 1898 года подписчики получатъ:

52 еженедѣльныхъ, иллюстрированныхъ номера, заключающихъ въ себѣ описаніе новѣйшихъ открытій и изобрѣтеній въ общепонятномъ и ясномъ изложеніи, доступномъ всякому развитому человѣку.

12 иллюстрированныхъ выпусковъ, заключающихъ въ себѣ слѣдующія сочиненія.

- I. **Сельскохозяйственные промыслы.**
- II. **Силы природы и пользованіе ими.**
- III. **Самодвижущіеся экипажи:** паровые, керосиновые, электрическіе.

„Журналъ козѣйшихъ открытій и изобрѣтеній“ даетъ описаніе всѣхъ выдающихся современныхъ открытій и изобрѣтеній, въ ясномъ и общепонятномъ изложеніи, поясняемомъ рисунками. Онъ также знакомитъ читателей съ успѣхами техники въ Россіи и за границей, съ положеніемъ существующаго уровня промышленности и условіями возникновенія новыхъ выгодныхъ производствъ. Библіографическій отдѣлъ даетъ свѣдѣнія о новыхъ сочиненіяхъ на русскомъ и иностранномъ языкахъ по всѣмъ отраслямъ техники и естествознанія, а перечень привилегій снабжается краткимъ изложеніемъ сущности изобрѣтеній.

Подписная цѣна на журналъ вмѣстѣ со всѣми приложеніями съ пересылкою: на годъ—7 р., на 1/2—1 р., на 3 мѣсяца—2 р. 50 коп., за границу—10 р.

Адресъ редакціи: *С.-Петербургъ, Фонтанка, 68.*

Допускается разсрочка (при подпискѣ исключительно въ конторѣ Редакціи): При подпискѣ—3 р., въ Апрѣлѣ—2 р., въ іюлѣ—2 р.

(6—3) Редакторъ-издатель **Н. Песоцкій.**

Открыта подписка

на изданіе подъ названіемъ

„ИСТОРІЯ РОССІИ“,

имѣющее выйти въ 24-томахъ, изъ коихъ въ составъ первыхъ 12-ти войдетъ полностью (безъ примѣчаній) «Исторія Государства Россійскаго» Н. М. Карамзина, остальные же 12 томовъ будутъ служить этому труду продолженіемъ.

Появленіе новаго, предпринятаго нами нынѣ, изданія «Исторіи Государства Россійскаго» Карамзина не нуждается, по нашему мнѣнію, въ какомъ либо оправданіи. Достоинства, которыми отличается это замѣчательное сочиненіе, говорятъ сами за себя, а громкая, вполнѣ заслуженная имъ извѣстность даетъ ему право на самое широкое распространеніе.

Другое дѣло—вторая половина нашего изданія, имѣющая цѣлью изложеніе дальнѣйшихъ событій русской исторіи почти до нашихъ дней и потому представляющая собою какъ бы продолженіе названнаго труда Карамзина. Считаемъ необходимымъ, однако, оговориться, что, разумѣется, связь между этими двумя частями нашего изданія можетъ быть только внѣшняя, такъ какъ для продолженія, въ буквальномъ смыслѣ, сочиненія знаменитаго историка надо быть вторымъ Карамзинымъ. Предлагая же публикѣ два названныхъ труда, какъ нѣчто цѣлое, мы руководились слѣдующими соображеніями. Какъ извѣстно, Карамзинъ не окончилъ, къ сожалѣнію, своей «Исторіи Государства Россійскаго“—доведенная имъ до послѣднихъ лѣтъ смутнаго времени на руси, она обрывается, такъ сказать, на полусловѣ. Такимъ образомъ, наиболѣе интересный періодъ русской исторіи, именно XVII, XVIII и XIX столѣтія, остался малоизвѣстнымъ большинству читающей публикѣ, и общаго, подобно Карамзинскому, труда, который содержалъ бы популярное изложеніе событій этихъ трехъ вѣковъ, въ русской литературѣ донынѣ не имѣется, если не считать таковыми школьные учебники и университетскіе курсы исторіи, преслѣдующіе свои спеціальныя задачи. Что касается сочиненій извѣстныхъ позднѣйшихъ историковъ (напр., Соловьева, Костомарова и друг.), въ которыхъ изложена значительная часть указанныхъ событій, то они, при всѣхъ своихъ несомнѣнныхъ достоинствахъ, представляется, однако, малодоступными читающей массѣ—одни по своему ученому изложенію, другіе по своей высокой цѣнѣ и т. п. Наконецъ, историческія монографіи, а также историческіе романы и повѣсти нельзя даже принимать во вниманіе, какъ совершенно непригодные для вышеупомянутой цѣли.

Между тѣмъ потребность въ знаніи нашего историческаго за послѣдніе вѣка развитія все болѣе и болѣе усиливается, и потому распространеніе такого знанія путемъ популярнаго изложенія этого развитія слѣдуетъ признать весьма желательнымъ

Идя на встрѣчу этой потребности, мы и намѣрены дать въ послѣднихъ 12-ти томахъ нашего изданія обстоятельный обзоръ всѣхъ событій, имѣвшихъ мѣсто въ жизни Россіи въ періодъ отъ смутнаго времени до восшествія на престолъ Императора Александра III, въ ясномъ общепонятномъ изложеніи, основанномъ на обширной цѣнной литературѣ, которою располагаетъ нынѣ русская исторіографія. При этомъ мы сдѣлали наше изданіе общедоступнымъ и по его крайне невысокой цѣнѣ. Каждый томъ будетъ заключать въ себѣ 15 печ. лист., формата in 8°, всѣ же 24 тома составятъ до 400 печ. лист. или болѣе 6,000 страницъ.

Подписная цѣна: безъ доставки **4 р. 50 к.**, съ доставкою и пересылкою **6 р.**—Допускается разсрочка: при подпискѣ—**2 р.**—по полученіи 6-го тома—**2 р.** и по полученіи 12-го тома **2 р.**—По выходѣ 8-го тома подписная цѣна будетъ повышена.

Вышли изъ печати первые 4 тома и высылаются подписчикамъ немедленно; слѣдующіе печатаются и будутъ разсылаться по мѣрѣ выхода.

Пріемъ подписки производится въ конторѣ изданія (С.-Петербургъ, Литейный проспектъ, д. 33, кв. 13) ежедневго отъ 10 до 4 час. дня.

(12—12) Издатель **В. Максимовъ.**

Открыта подписка на 1898 годъ

(второй годъ изданія)

на еженедѣльный иллюстрированный журналъ

„ТЕАТРЪ и ИСКУССТВО“

Въ 1897 году помѣщены были въ журналѣ произведенія слѣдующихъ лицъ: Авсѣенко В. Г., Александрова Н. А., Амфитеатрова А. В., Арбенина Н. Ф. Бастунова Э. Д., Бентовина Б. И., Генкена В. Г., Гнѣдича П. П., Далматова В. П., Дѣянова А. И., Карнѣева М. В., Карпова Е. П., Кнорозовскаго И. М., Кояловича М. М., Кравченко Н. И., Кугеля А. Р., Ленскаго Ал. П., Немировича-Данченко Вл. И., Плещеева А. А., Потапенко И. Н., Преображенскаго В. П., проф. Сакетти Л. А., Тихонова В. А., Федорова М. П., Фруга С. Г., Южнаго М. Г., Ясинскаго І. І. и др.

Кромѣ названныхъ лицъ обѣщано сотрудничество:

Вейнберга П. И., Голицына кн. Д. П. (Муравлина), Немировича-Данченко Вас. И., Сафонова С. А., проф. Соловьева Н. Ф. и нѣк. др.

Статьи по общественнымъ вопросамъ и теоріи искусствъ, театра и литературы. Фельетоны, Критическіе этюды. Беллетристика. Обширныя корреспонденціи.

Свыше 500 иллюстрацій, портретовъ, нотныя приложенія и т. п,

За годъ изящный томъ на хорошей бумагѣ

Свыше 1000 страницъ и сверхъ того

не менѣе 15 пьесъ, отдѣльными приложеніями, стоющихъ 20—25 р.

Въ 1897 г. даны, между прочимъ слѣдующія пьесы, имѣвшія шумный успѣхъ: „Трильби“, „Катастрофа“, „Наканунѣ“, „Водоворотъ“, „Влюбленная“, „Вѣра Иртеньева“, „Трудовой день“, «Волшебная сказка» и другіе.

Изданіе особенно рекомендуетъ любительскимъ кружкамъ, библіотекамъ, общественнымъ собраніямъ, клубамъ и кабинетамъ для чтенія.

Подписная цѣна за годъ съ доставкою 6 р.
„ „ „ полгода „ 4 р.

Допускается разсрочка при подпискѣ 2 р. и по 2 р. 1-го Марта и 1-го Іюня.

Адресъ редакціи и конторы: *С.-Петербургъ, Моховая, 45.*

Редакторъ **А. Р. Кугель.** Издательница **З. В. Тимоѳеева (Холмская).**

(8—8)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го Февраля, 1898 г. სტამბა ქ. ი. ხელაძის, ლორის-მელიქოვის ქ., № 28 რედაქტორ-გამომცემელი ვალ. ბუნია